ჩ ე რ კ უ ნ ი — პრიტიკინი ამ სასმელს ნადირთმულების უწო-  
დებს...

ც ი გ ა ნ ო ვ ი — მაღალი წნევის რამეა... იცი, უორე... რა უც-  
ნაურობაა! მგრინი, ბოყინი მეწყება... დღეს ერთბაშად გამახსენდა...  
ის შევერეული ქალი... რა ერქვა? ოპერეტის გუნდის მომღერალი...  
შერე მოიკაში თავი რომ დაიხრჩო... არ იცნობდი?

ჩ ე რ კ უ ნ ი — არა...

ც ი გ ა ნ ო ვ ი — (ჩაფიქრებული). ტანმორჩილი... თვალშვენიე-  
რი... აი, ახლა, ერთმა ბუზმა, რომელსაც პაპიროსით ფრთხი შე-  
უტრუსე, რატომდაც ის გოგონა მომავონა... რა ერქვა?

ა ნ ა — (სახლისკენ იყრება). ეს რა არის? ოი... შეხედეთ!

ც ი გ ა ნ ო ვ ი — მოჩვენებაა?

ჩ ე რ კ უ ნ ი — უჲ, შე ბრიყვო!

გ რ ი შ ა — (ბეჭვის დიდი ქურქი იცეია). აი, მეც აქ ვარ... უჲ! გა-  
მიტირდა!

ჩ ე რ კ უ ნ ი — თქვენ, ეი... პიროვნებავ! ასე რათ გამოწყობილ-  
ხართ?

გ რ ი შ ა — (ლიმილით). ქურქში? ეს მამაჩემი შხარშაგს ამაში...  
რომ გავხდე. შემოღვიმაზე ჯარში უნდა გამიწვიონ... ჰოდა, ქო-  
ნებს მაყრევინებს.

ც ი გ ა ნ ო ვ ი — გონებამახვილურია...

ჩ ე რ კ უ ნ ი — მერე და, რათ აძლევთ ნებას, რომ ასე დაგცი-  
ნონ?

გრიშა — რას იზამ? მასთან დიდი კამათი არ შეიძლება... სულ ჩხუბზეა. მართლაც და, იქნებ გავხდე და ჯარში აღარ წამიყვანონა!

ჩერკუნი — იცით, რას გატვით, ქურქი გაიხადეთ. საძაგელი სანახავი ხართ. როგორ არა გრძელებიათ? ქალიშვილები ალბათ დაგცინიან! აბა, დაფიქტდოთ, რა სიმახიჯეა! უნდა უთხრათ თქვენს მამას, რომ ამიერიდან აღარ გინდათ ქურქის ტარება ამ სიცხეში. გვესმით?

გრიშა — როგორ არა! აბა, ერთი უთხარი... აბა, გაბედე!

ციგანოვი — ყური დამიგდეთ, იხალგაზრდავ! მამათქვენი ერთბაშად ზურგზე რომ წამოგაჯდეთ და გითხრათ, დღესასწაულის დღეს ქუჩა-ქუჩა მატარეთ. მაშინ რას იზამთ?

გრიშა — არა, მამაჩემი თავს არ შეირცხენს. ამაყი კაცია!

ჩერკუნი — (დაინებულ). გაიხადეთ ქურქი!..

გრიშა — (იხდის). კეთილი... ოღონდ მამაჩემმა არ დამინახოს! ანა — მამა გიყვაროთ. ხომ?

გრიშა — (ცოტა ხნის შემთხვევა). მოხუცია... ალბათ მალე სულსაც განუტევებს... მაშინ კი, თვითონ ვიქნები ჩემი თავის ბატონ-პატ-რონი!

ჩერკუნი — წადით შინ და მამათქვენი აქ გამომიგზავნეთ.

გრიშა — (განცვილებული). გინა, მამაჩემი?.. აქ გამოგიგზავნოთ?

ჩერკუნი — ჰო, მამათქვენი... ხომ შინ არის?

გრიშა — (იბრევა). კი, მაგრამ... როგორ ვუთხრა? ერთი უყურეთ გამომიგზავნეთ... როგორ არა! როგორ შეიძლება? მამაჩემი პირველი კაცია...

ჩერკუნი — (წამოხტება). დასწყვევლის ღმერთმა! (მიდის ლობის მენ).

გრიშა — (შეშინებული). ჩაშია საქმე? რას შერება? ქალბატონი... მე წავალ... ჯანდაბას თქვენი თავი! რა შარიანი ვინძე ყოფილა.

ჩერკუნი — სერგეი! არ გაუშვა... (გადასძებს ლობის იქთ). ერ, ვინ არის მანდი? ერ!

ანა — (იცის). ეგორ! ეს მართლაც ზედმეტია...

გრიშა — ქალბატონი! ეს ხომ უტიფრობაა! ჯერ შემომიტყეთ და ახლა... წავალ... ჩაშია საქმე?

ციგანოვი — იხალგაზრდავ, გამოიჩინეთ გმირობა! ამიტომ საჭიროა, მშვიდად იცალოთ... დაბრძანდით!

ჩერკუნი — (ლობის იქთ). ა, ეს თქვენი ხართ? აქეთ მობრძანდით... რაო? დიახ, ახლა!

რედოზუბოვი — (ლობის იქთ). გრიგორი? გრიშკა!

გრიშა — (შეშინებული). ვაიმე, მეძახის... აუ-უ, მამაჩემო!

ჩერკუნი — აქ არის, ჩემთანაა..

ციგანოვი — აგრე მოგოგავს აღგილობრივი ფაუნის კიდევ ერთი ნიმუში...

გრიშა — (მიშით). ეს პელაგეია პრიტიკინაა... აბა!

ციგანოვი — იცით რა, გამბედაობა რომ მოიკრიფოთ უნდა დადაპრათ... საქმეს ეს შევლის!

გრიშა — მომეცით... ჩქარა! ეჭ... აბა რა...

ანა — (ხარხარებს). კარგი, გეყოფათ... ოი, როგორი ხართ... უცაურის! სტეპანიდა!

პრიტიკინა — გამარჯობათ!

ციგანოვი — (თავს უკრივს). რაო, რა გნებავთ?

პრიტიკინა — ტატიანა ნიკოლაევნა შინ ბრძანდება?

ციგანოვი — სამწუხაოოდ, ეს ჩემთვის არ არის ცნობილი... ტექანიდა მოდის).

პრიტიკინა — ო, გრიშა! გამარჯობა.

გრიშა — (ბუტბუტებს). ოი, კიდევ... უკვე დაიწყო...

ჩერკუნი — მანდილოსანი მოგესალმებათ და თქვენ კი ზოროთ...

ანა — (სტეპანიდას). პორტვეინი და ლიქიორი მოიტანეთ...

ციგანოვი — კონიაკიც და არაყიც...

გრიშა — ვიცნობა...

პრიტიკინა — როგორ არა, ვიცნობთ ერთმანეთს! ეს? თქვენ მეუღლეა? უჭ, რა ლამაზი ცოლი გყოლითა...

ჩერკუნი — არც მაგან იცის, სად არის ტატიანა ნიკოლაევნა... (სტეპანიდას შემოაქვს სინით ბოთლები).

პრიტიკინა — ეს არც თუ ისე მაინტერესებს. სიმართლე მომ გითხრათ, მასთან კი არა, თქვენთან მოვედი... ტატიანა ნიკოლაევნას ნახვს ყოველთვის შევძლებ, თქვენი გაცნობა კი ჩემთვის ტექანიდ სასიამოვნოა...

ჩერკუნი — ანა!.. მგონი, შენთან არის... მოსული...

ციგანოვი — (ანას). დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთან მომდა... აბა, ჭაბუკო, რომელი შემოგთავაზოთ?

გრიშა — რომელიც უფრო მაგარია.

პრიტიკინა — არა, მე ყველასთან გეახელით. თქვენი შეულე, რასაკვირველია, საინტერესო ტუალეტების მხრივ, და თქვენც ჩემთ ბატონებო, ძალიან საინტერესონი ბრძანდებით...

გრიშა — (დალია). უჭ! რა ტებილია და... ზორბა!..

ციგანო — (თავს უკრაეს პრიტიქინის). ფრიად სასიამოვნოა...  
ჭაბუკ, დაიმახსოვრეთ. ამ სითხეს უწოდებენ შარტრეზს.

ანა — (პრიტიქინის). გთხოვთ დაბრძანდეთ...

პრიტიკინი — მერსი! დიდი ხანია ვეუბნები... არხიპს, ესე  
იგი, ჩემს ქმარს. შე შეჩევნებულო, გამაცანი-მეთქი ინქინრები. ის  
კი მაშინებს. ისინი მკაცრი არანო. სულაც არ ხართ მკაცრი. განათ-  
ლებულები ხართ და ამიტომ, რა თქმა უნდა, ამაყნიც... აბა, მაშ არა?  
სიამაყის სურვილი ყველას აქვს. აი, მაგალითად, ჩვენ ფულით ვამ-  
ყობთ, თქენ კი — ბეცხიერებით... ვისაც არაფერი არ აბადია, ის  
რას წარმოადგენს?.. უსუსურ ბავშვს, რომელმაც ერთი წელი  
იცხოვრა და სული გავარდა. მის შესახებ ხომ არაფრის თქმა არ  
შეიძლება!

ანა — (საჩქაროდ დგება). იქნებ გამოიაროთ აქეთ, ვერანდაზე?

პრიტიკინი — სიამოვნებით, ჩემო ძირფასო, წამოვალ! რა  
გულთბილი ხართ, რა მშვენიერი... მე ისე მიხარია თქვენი ჩამოსვ-  
ლა, ისე, რომ! ჩვენი ქალაქი კარგი და ლამაზია... ქალაქის ირგვლივ  
არის ყოველნაირი მიღამოები... ტყეცა გვაქვს, მინდვრებიც, ჭაობე-  
ბიც... მერე აუარებელი შტოშიც ხარობს უკ, აუარებელი!

ციგანო — (ქალებს თვალი გაყოლა). საინტერესოა ეორე,  
მართლაც... საინტერესო ქალია!

გრიშა — (უცებ გოცუნა). ტუტუცია!

ჩერკუნი — რაო?

გრიშა — ტუტუცია-მეთქი ეგ ქალი. ბებერია და ახალგაზრდია  
კი გაცყავა ცოლად... ქალი მდიდარია. მისი სიმდიდრე ქმარმა ჩაიგ-  
დო ხელში და ახლა აქეთ-იქით დაეხეტება... ძალიან მოხერხებული  
კაცია ვაიმე... მამაჩემი მოდის! მომეფარეთ და ერთს კიდევ გადაუ-  
კრავ... (ცაგანვი ეფარება გრიშას. გრიშა ისხამს და ჭრიაში ლიქიორს, საჩქარო  
ყლულწავს და საშინალად აქციერდება. მოდის რედოზუბოე და ბლერით  
უცერის ჩერკუნს. შემდეგ შემოდის პავლინი, რომელსაც იღლის ქვეშ სქელ-  
რეული მოუჩრია).

რედოზუბოე — (სალაში არ იძლევს). გრიშა! აქ რას აკეთებ?  
გრიშა — (ჩაიცინებს). ისე... არაფერს...

ჩერკუნი — მე დავპატიჟე...

რედოზუბოე — რატომ?

ჩერკუნი — მშირდება.

რედოზუბოე — მერე, ჩემგან აიღო ნებართვა, რომ აქ  
მოსულიყო?

ჩერკუნი — რატომ? (ჩუმად უცურებენ ერთმანეთს).

რედოზუბოე — მე მამა ვარ!..

ჩერკუნი — იო რა, დიღხანს სალაპარაკოდ მე არ მცალია...  
თქვენმა ვაჟიშვილმა უნდა გაიხადოს ეს სულელური ქურქი. ეს, რა  
სიტუაცია!

რედოზუბოე — (გოლებული). მომითმინე... რაო, რა თქვი?  
მევლინი ფრთხოლად მოსცილდება რედოზუბოეს.

ჩერკუნი — თუ თქვენი ვაჟიშვილი კვლავ ატარებს მაგ  
ქურქს, მე მივწერ სამხედრო უფროსს, რომ აიძლებთ თქვენ შვილს  
თვი აარიდოს სამხედრო სამსახურს... გაიგეთ?

გრიშა — (უცრად). მამაჩემო! მე ჯარისკაცობა მინდა... ღმერ-  
ომანი მინდა!

ჩერკუნი — ხომ გაიგეთ? ეს სისხლის სამართლის დანაშაუ-  
ლია...

რედოზუბოე — (დაბნელი). მოიცა! ეგ რა უფლების ძა-  
ლით? პავლინ, მოწმე იყავი... გრიშა, შინ წალი...

გრიშა — მამაჩემო! არ შემიძლია გახდომა... არ შემიძლია  
შეთქი! (მარცხნივ, ხებს უკან დგას პრიტიქინი).

რედოზუბოე — (უფრო დაწყარისებით). შენ, ბატონო, თუ  
ჩების გასაყვანად ჩამოხვედი... გაიყვანე! მე არ გიშლი... ამიტომ  
ხერც შენ ერევი სხვის საქმეში, ღიას! და, თუ შემიძლება, ნუ მაჟყეტ  
თვალებს, მაგ მწვანე თვალებს ნუ მაჟყეტ მეთქი... გრიგორი, შინის-  
ტი! მე კი გიჩივლება... თვით გუბერნატორთან წაგალ...

ციგანო — (ალერისიან ლიმილით). წახვალთ და თავს საბრალ-  
ილებულო სკამზე ამოკყოფთთ... სამოცი წლის კაცს სწორედ ეგლა გაქ-  
რითო! კაცი ქალაქის თავი ხართ, ეკლესის მნათე, შეხანძრის ნათლი-  
სმა და სხვა და სხვა... ასეთი ბრწყინვალე კარიერა და ასეთი სამწუ-  
ხარი დასასრული? აბა ერთი წარმოიდგინეთ...

რედოზუბოე — გრიგორი, შე ძალლო. შინ წაეთრიე! ამათ  
სუსმენ... ამათ ნუ უყურებ!

გრიშა — (მოგრალია, ტირის). ესენი შენ... ციხეში... და მეც...  
ციხეში!

რედოზუბოე — (ხელს სტაცებს). წადი, შე ძალლო... (საჩქა-  
რო გადა).

ჩერკუნი — (მიაძახებს, მშვიდად). პატივცემულო, თუ თქვენ  
უჟიშვილს სცემთ, იცოდეთ, ძვირად დაგიჯდებათ... (მისლექს მათ).

პრიტიკინი — (გავირევებულია). შეშინდა! ვასილ ივანოვიჩ, რე-  
კონსულებოს შეეშინდა!

ციგანო — უყვარს, პატივს რომ სცემწნ, არა?

პრიტიკინი — უკ, არაჩევულებრივად. მაგან რომ დაინახოს  
მიცემალებული, რომელსაც პატივისცემით მიასვენებენ, მის მიმარ-

თაც შურის გრძნობა დაებალება და, შესაძლებელი რომ იყოს, ხია  
მოვნებით თვითონ ჩაწერა კუბოში. მისი სახლის წინ ქვის სვეტები  
გინახავთ? ქუჩა გადალობა იმ სვეტებით. უნდოდა საპარადო შესაფ-  
ლელი აეშენებინა... აი, ისეთი, როგორიც თავად ხრიაშჩევატოვს  
აქვს... მაგრამ ქუჩის გაფუჭების ნება არ მისცეს. მეშვიდე წელიწ-  
დია, რაც დავობს და მაინც არა თმობს... და არც არასოდეს არა-  
ვისთვის არაფერი არ დაუთმია...

პ ა ვ ლ ი ნ ი — (წინ გამოდის და ამბობს, თითებზე ჩამოთვლით). ნები  
მომეცით მოგახსენოთ. ეს კაცი ძალიან ულმობელია. ერთი ცოლი  
დაასამარა, მეორე მონასტერში გაექცა, მისი ერთი გაერშეილი გამო-  
თაყვანებული დაარება, მეორე კი უზორ-უკვლიდ დაიკარგა...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — მოითმინეთ, ჩემი კარგი! თქვენ ვინა ხართ?

პ ა ვ ლ ი ნ ი — მე?.. მე აქ უველა მიცნობს... (მემოდის სტეპანიდა  
გრძელებს მაგიდიდან ბოთლებს დავქვეს).

პ რ ი ტ ი კ ი ნ ი — რედოზუბოვის მეგობარია... ეგვეც არის რა-  
ღა!..

პ ა ვ ლ ი ნ ი — მე მინდა ყველასთან შეგობრულად ვიცხოვრო...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — ჩემგან რაიმე გნებავთ?

პ ა ვ ლ ი ნ ი — ქეშმარიტად. აი, შრომა დავწერე... და თქვენ,  
როგორც ნასწავლმა კატა, მინდა თქვენი აზრი მითხრათ... ამას გუ-  
ლით გთხოვთ. ამ შრომას ეწოდება: „ზოგიერთი მსჯელობა სიტყვე-  
ბის შესახებ, შეღვენილი ქეშმარიტების უანგაროდ მოყვარულის  
მიერ სიცრუის გამოსამყლავნებლად“... ცხრა წელიწადი მოვუნდა  
ამის წერას...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (ართმევს რვეულს). რის შესახებ მსჯელობთ ა  
შრომაში?

პ ა ვ ლ ი ნ ი — მე ახალი სიტყვების წინააღმდეგი ვარ... დამია-  
ნის მოქმედებანი უძველესი დროიდან დღემდე უცვლელი დარჩა და  
ამ მოქმედებებს კი ახლა სხვა სახელები დაარქვეს. აი, სწორედ ამის  
წინააღმდეგი ვარ... საერთოდ, ახალი სიტყვების წინააღმდეგი ვარ.

ც ი გ ა ნ თ ვ ი — რას ნიშნავს ახალი სიტყვები?

პ ა ვ ლ ი ნ ი — მაგალითად, უწინ ამბობდნენ, ცილისწამება, ას-  
ლა კი ამბობენ, კორესპონდენცია...

პ რ ი ტ ი კ ი ნ ი — პავლინს მხედველობაში აქვს ის, რომ ერ-  
თხელ მასწავლებლის დაბეზლებისათვის გაზეთში გამოჭიმეს... ქალა-  
ქის თავს რედოზუბოვს ხომ არ შესადაცებიხარ არაფერში...

პ ა ვ ლ ი ნ ი — ბუჩქი ხეს ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს, არები  
ფომიჩ! რედოზუბოვი თავისი მნიშვნელობით ჩემზე მაღლა დგას ქა-  
ლაქში... მიუწვდომელია, მიულწეველი!

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (სახლისკენ მიდის). კარგი, მე თქვენს ხელნაწერს  
კადაგათვალიერებ...

პ ა ვ ლ ი ნ ი — ულრმეს მადლობას მოგახსენებთ...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — გამოიარეთ როგორმე...

პ ა ვ ლ ი ნ ი — თავს მოგალედ ჩავთვლი... (სამიერნი გადინ. რედო-  
ზუბოვის ღობეზე გამოჩნდება კატია. ურადლებით ათვალიერებს ბაღს. ისმის  
ჩერქევის ხმა. კატია ღობიდან ჩადის. შემოდია ჩერქევი და ანა).

ა ნ ა — ხალხის ასე დაცინვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სუ-  
ლელები არიან, არ არის კარგი!

ჩ ე რ კ უ ნ ი — ისინი ბოროტები არიან...

ა ნ ა — სულერთია, სისულელისაგან არიან ბოროტნი.

ჩ ე რ კ უ ნ ი — კარგი, ვიცი, რასაც იტყვი.

ა ნ ა — როგორ მიმიძის შენთან, ეკორ!

ჩ ე რ კ უ ნ ი — გიმძიმს? მე კი ჯერადობით მხოლოდ მოწყე-  
ბილი ვარ... (მემოდის მიუჯდება). შენ იქ გელოდებიან, ისინი... სტუმ-  
ები...

ა ნ ა — მივდივარ. შენ... არ გინდა მაჟოცო?

ჩ ე რ კ უ ნ ი — არა!.. (ინა საჩქაროდ მიტრიალდება და გადის, ჩერქევი  
შემაობს. ღობეზე კალავ კატია გამოჩნდება. ესკრის ჩერქევს ჯერ ქვას, შემ-  
დიდა კი ჯოხს და უმაღლე ღობიდან ჩადის).

ჩ ე რ კ უ ნ ი — (ღობისკენ მიიხედას). ეი თქვენ, მხეცო ვერ ვიტან  
სეთ ხემრიბას!

კ ა ტ ი ი — (ღობის იქით). ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ!

ჩ ე რ კ უ ნ ი — (დგასა). თქვენ ქალი ხართ?

კ ა ტ ი ი — რა თქვენი საქმეა... წითელო ტურავ!

ჩ ე რ კ უ ნ ი — (ფეხზე დგება). თუნდ ქალიც იყოთ... მაინც არ გვ-  
ატიებათ ქვების სროლა. ეს უხეშობა და ტუტულობაა.

კ ა ტ ი ი — განა თქვენ კი გეპატიებათ ხალხის წყენინება?

ჩ ე რ კ უ ნ ი — ვინ ხალხისა?

კ ა ტ ი ი — ვინ ხალხისა?.. ვინა და... მამაჩემის და ჩემი ძმის...

ჩ ე რ კ უ ნ ი — აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მაგრამ მოფა-  
რებულ კუთხიდან ქვის სროლა მაინც უპატიოსნობაა... გამოჩენი-  
ლიყავით, დამნახვებოდით... (მოდის სტეპანი და გავარვებული უყურებს  
ჩერქევს).

კ ა ტ ი ი — გგონიათ, რომ თქვენი მეშინია?

ჩ ე რ კ უ ნ ი — შემიძლია ესეც ვიფრეჩო, მაგრამ... მე უფრო  
მის ვფიქრობ, რომ თქვენ ძალიან ულამაზო უნდა იყოთ.

ს ტ ე პ ა ნ ი — ვისთან ბასობთ, უფროსო?

ჩ ე რ კ უ ნ ი — მანდილოსანთან.

ს ტ ე პ ა ნ ი — (იყურება გარშემო). მერე... სად არის?

ჩ ე რ კ უ ნ ი — იქ არის...

ს ტ ე პ ა ნ ი — ვერაფერი გამიგია! სამაზრო პოლიციის უფროსს  
თქვენი ნახვა სურს.

ჩ ე რ კ უ ნ ი — ვითომ რაო?

ს ტ ე პ ა ნ ი — არ ვიცი. წავალ, ერთი იმ მანდილოსანს შევხე-  
დავ.

კ ა ტ ი ი — აბა, ერთი სცადეთ!

ჩ ე რ კ უ ნ ი — (მიღის). ცოტა ფრთხილად იყავით... ეგ მანდი-  
ლოსანი კაცებს ჯოხებით უმასპინძლდება.

კ ა ტ ი ი — მე მხოლოდ წითურ კაცებს ვესერი ხოლმე...

ს ტ ე პ ა ნ ი — მაშ, თქვენი ჯოხი მე არ მომხედება?

კ ა ტ ი ი — ამოფოფხდით და... ნახავთ!

ს ტ ე პ ა ნ ი — ჰმ, მეშინია... მაგრამ მაინც ამოცოცდები!

კ ა ტ ი ი — (ლობეზე გამოჩენდება). ნუ, ნუ ამოხვალთ... მამაჩემმა  
რომ დაგინახოთ, შავ დღეს დაგაყენებთ. აქ რა გინდათ?

ს ტ ე პ ა ნ ი — არაფერი. თქვენ?

კ ა ტ ი ი — როცა ის წითელი ტურა მოვა, ქვას პირდაპირ  
ცხვირში ვესერი...

ს ტ ე პ ა ნ ი — ოძო! რატომ?

კ ა ტ ი ი — ის მე ვიცი! ერთი მითხარით, ის ლამაზი ქალი იმ წი-  
თელი ტურის კანონიერი ცოლია?

ს ტ ე პ ა ნ ი — რისთვის გვირდებათ ასეთი ცნობები?

კ ა ტ ი ი — საჭიროა ვიცოდე. როგორ გვიციათ, მას უყვარს თა-  
ვისი ცოლი?

ს ტ ე პ ა ნ ი — თვითონ მას ჰქითხეთ... ანდა მის ცოლს...

კ ა ტ ი ი — ვითომ თქვენ არ იცით?

ს ტ ე პ ა ნ ი — მე ასეთ საქმეებში გამოუცდელი ვარ...

კ ა ტ ი ი — როგორ არა... თავს ნუ იყარენებთ! ყველა სტუდენ-  
ტი თავაშვებულია. ღმერთი არა სწამთ და თანაც აკრძალულ წიგნებს  
კითხულობენ... მე ხომ ვიცი! თქვენც კითხულობთ აკრძალულ წიგ-  
ნებს?..

ს ტ ე პ ა ნ ი — ეგ დანაშაული მეც მიმიძლვის... (მოდის ციგანოვა.  
შეჩერდება და ლიმილით უსმენს).

კ ა ტ ი ი — უი, უსირცხვილოვ! მერედა რათ სჩადით ამას?

ს ტ ე პ ა ნ ი — ისე... ჩვეულებაა!

კ ა ტ ი ი — (ჩუმად). მომეცით მეც ერთი... მხოლოდ უველაზე  
უფრო საინტერესო... კარგი? წიგნის კითხვა ძალიან მიყვარს... ვაი-  
მე... (გაქრება. სტეპან შიხედ-მოიხდავს).

ც ი გ ა ნ თ ვ ი — ყოჩილ, ჭაბუკო!

ს ტ ე პ ა ნ ი — (შერცხვა). აბა... ვინძლო თქვენ ახლა... სრულიად  
არაფერი მომხდარა... მან მხოლოდ წიგნი მოხვავა... და ისიც ხომ  
დაინახეთ, ღობიდან... რა მოხდა ისეთი?

ც ი გ ა ნ თ ვ ი — მერე, მე ხომ არაფერს ვამბობ!

ს ტ ე პ ა ნ ი — მაგრამ... რატომდაც იცინით...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — შეეცვარებულება გაცლიათ, რაც იმის ნიშანია,  
რომ ჯერ არა ხართ შეყვარებული...

ს ტ ე პ ა ნ ი — იქ... სიყვარული! ვის რად სჭირდება?

ც ი გ ა ნ თ ვ ი — მეც ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, ვის რად  
სჭირდება-მეთქი? მაგრამ ვერ მიშველა, ჭაბუკო, და... მაინც ხში-  
რად ვყოფილვარ შეყვარებული... იცით, ის გოგონა მშვენიერია... ის  
ისეთი გაწერილი კულრაჭაა... გისურებ წარმატებას... (ბრუნდება, მაგი-  
დიდან ღებულ დახვეულ რუებით ხელში. სტეპან ღობისაკენ იყურება, შემ-  
დეგ ლილობს ღობეზე იცოცხას. მოდიან ბოგაეცხადა და მომახოვა).

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — ყმაწვილო, რატომ აღიხართ კედელზე?

ს ტ ე პ ა ნ ი — მე... ქუდი... ქუდი ჩამოვკიდე აქ და... იქით გა-  
დამიგარდა.

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — ქუდი ხომ თავზე გახურავთ?

ს ტ ე პ ა ნ ი — ეს ის არ არის... ის სხვა... იყო...

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — მე ისე ვატყობ, ქუდი კი არა, თავი დაგი-  
კარგავთ... ნადევდა პოლიკარპოვნა, გაიცანი. ეს გახლავთ სტეპან  
დანილოვის ლუკინი...

ნ ა ღ ე ჟ დ ა — (ყურადღებით ათელიერებს). ერთობ ახალგაზრდაა...

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — (პაპიროს უკიდებს). დაე იბობლოს ღობებ-  
ზე... აგერ, ყველანი აქეთ მოდიან... ეჭ, ნადევდა, ეცადე ნაკლებ  
ილაპარაკო, ეგებ მაშინ ხალხს უფრო ჭკვინად მოეჩენო... (შემოდის  
სტეპანიდა, შემოაქეს კალათი ჭურჭლით, ლიმონთის ბოთლებით და ლიქი-  
ნით. მაგიდიდან ქალალებს ილაგებს და სუფრას აფარებს. ცოტა ხნის შემდეგ  
შემოდიან: ეჭიმი, ციგანოვი და ანა).

ნ ა ღ ე ჟ დ ა — (მშეიდალ). მე ჭკუა ბლომად მაბადია...

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — ნუ ცრუობ! აბა დაფიქრდი. სიყვარულის  
გარდა... სხვა ხომ არაფერზე არ შემიძლია ლაპარაკი!..

ნ ა ღ ე ჟ დ ა — არაფერზე არ შემიძლია...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (ეჭიმი). ეჭიმო, დავლევთ არა? ხომ ასეა?

ც ი გ ი მ ი — შემდეგაც დავლევთ.

ც ი გ ა ნ თ ვ ი — რა თქმა უნდა, შემდეგაც... აბა სტეპანიდა...  
შეად არის? ის ეს... (მოთლო აწვლებს. ეჭიმი მიღვრეული, გატერებული  
ფელით უყურებს მონახვებს. ანა უახლოვდება და მის გვერდით ჯდება).

ა ნ ა — ალბათ აქ ძალიან მოსაწყენად ცხოვრობთ?

ნ ა დ ე ჟ დ ა — ზოგიერთი მართლაც უჩივის ამას... მე კი არა  
მთელი დღე წიგნებს ვყითხულობ, ან ვზივარ და ვფიქრობ...

ა ნ ა — რას კითხულობდთ? რომანებს?

ნ ა დ ე ჟ დ ა — მაშ, სხვას რას? აქ ერობაში ერთი კაცი მსახუ-  
რობდა... შემდეგ თავი მოიკლა...

ა ნ ა — თავი მოიკლა? რატომ?

ნ ა დ ე ჟ დ ა — არ ვიცი...

ე ჭ ი მ ი — (მოლუშლად და ბრაზმორეული). ამ ქალის სიყვარული  
გამო...

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — (საყვედურით). ეჭ, ერთი, თქვენც დაიწყეთ  
რალა...

ნ ა დ ე ჟ დ ა — (წყნარად). ის რალაც სხვა წიგნებს მაძლევდა, რო-  
მანებს კი არა... მაგრამ მოსაწყენი იყო და არ ვყითხულობდი...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — აქ, ამ ქალაქში, რომანები თუ ხდება ხოლმე?

ნ ა დ ე ჟ დ ა — უმაგისოდ როგორ შეიძლება? სიყვარული იქაც  
იკიან...

ა ნ ა — ალბათ რა უბადრუკია ეს... ადგილობრივი სიყვარული...

ნ ა დ ე ჟ დ ა — სიყვარული ყველგან ერთია, თუკი ის ნამდგო-  
ლია...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — საერთოდ რა არის სიყვარული?

ნ ა დ ე ჟ დ ა — ეს არის ის, რაც გრძელდება მთელ სიცოცხ-  
ლეს...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — ჰმ... დიახ! თქვენ მართლაც ბევრი რომანები  
წაგიითხავთ... თქვენ ალბათ ხშირადაც გიხსნიან სიყვარულს...

ნ ა დ ე ჟ დ ა — არა, არც ისე ხშირად... ი, ის სამსახურის კაცი,  
რომელმაც თავი მოიკლა, წერილებს მწერდა. მანამდე კი ერობის  
უფროსი მეუბნებოდა... (ეჭიმი ნელა განხე დაღვება). მაგრამ მერე სანა-  
დიროდ წავიდა, სიმთვრალეში გაცივდა და სამი დღის შემდეგ გარ-  
დაიცვალა...

ა ნ ა — (შეკრება). გარდაიცვალა?

ნ ა დ ე ჟ დ ა — დიახ. მე ის არ მომწონდა. ბევრს სვამდა, ცხვირს  
სულ ასრუტუნებდა და სახეც წითელი პქონდა. ახლა კი, აგერ ეჭი-  
მი მეუბნება, რომ მიყვარხარო...

ბ ო გ ა ე ვ ს კ ა ი ა — (საყვედურით). ღმერთო ჩემო! ნეტავი გა-  
ჩუდებოდე! (დგაბა და სახლისკენ მიდის. ხევთან დგას ეჭიმი და გაშტერ-  
ზული უცემრის მონახვეს).

ა ნ ა — (ნალელიანილ). რა... უბრალოდ ამბობთ ამას!

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (სერიოზულად). თქვენ... თქვენ მას როგორ ეჭი-  
მით?

ნ ა დ ე ჟ დ ა — არც როგორ. ის ჩემს ქმარსა ჰგავს...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — რასა ბრძანებთ! მე მგონია, რომ მათ სრულიად  
არაფერი არა აქვთ საერთო!

ნ ა დ ე ჟ დ ა — არა, ჰგავს. სახით არა, მაგრამ ხასიათი მთლიად  
ერთნაირია აქვთ. ორივეს თევზაობა უყვარს და, ვინც თევზის ჭერი-  
თად გატაცებული, ის ნახევრად მკვდარია. დაჯდება თავისთვის  
შელის პირას, თითქოს სიევდილს ელოდებაო...

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (ანას). ამ სიტყვებში რაღაც სიმართლეა...

ა ნ ა — ეს ეგორს მოეწონებოდა...

ნ ა დ ე ჟ დ ა — რა მიმზიდველი თვალები აქვს თქვენს შეულ-  
ლეს, მისი თმებიც ცეცხლსა ჰგავს და, საერთოდ, შესანიშნავი მამაქა-  
ცია... ერთხელ რომ შეხედო, არასოდეს არ დაგავიწყდება აქაურ-  
მამაქაცებს კი ყველას ერთნაირია თვალები აქვთ და თითქოს... არც  
ი აქვთ თვალები...

ა ნ ა — (ჩემად). რა... უცნაური ქალი ხართ!

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (წელა). დიახ... უფრო სწორედ რომ ვთქვათ  
საშიში...

ნ ა დ ე ჟ დ ა — (პირველად იღიმება). სერიოზულად ამბობთ?

ც ი გ ა ნ თ ვ ი — სინდისს გეფიცებით!

ნ ა დ ე ჟ დ ა — აი, ეჭიმიც ამბობს...

ა ნ ა — (ჩემად). საცოდავი ეჭიმი... (ისმის მონახვეს სიცილი. შემო-  
განა ჩერქეზი, სამზრო პოლიცის უფროსი, მონახვე, ლიდია და ბოგაცესეიან)

ჩ ე რ კ უ ნ ი — არა, იყობ ალექსეევიჩი წასვლას აპირებს... (ლო-  
იასთან ერთად განხე დგას).

ა ნ ა — ან ინებებთ, ცოტახანს კიდევ დარჩეთ?

ს ა მ ა ზ რ თ პ თ ლ ი ც ი ი ს უ ფ რ თ ს ი — მადლობას მო-  
გახსენებთ! პირველი სტუმრობისათვის საქმარისია. იცით, სერგე  
ნიკოლაევიჩ, რა მომიღიდა? ისე, ჩემდა უნებლიერ მთელი ხერეს  
ამოვცალე. მართლაც, ჯოჯოხეთური ღვინო ყოფილა!

ც ი გ ა ნ თ ვ ი — (დაბნეულად). მოიცადეთ. მალე ამის მსგავს რას-  
ტე მივიღებ და მაშინ...

ს ა მ ა ზ რ თ პ თ ლ ი ც ი ი ს უ ფ რ თ ს ი — ვიცდი! მოუ-  
წენლად ვიცდი! (ხახხარებს).

მ თ ნ ა ხ თ ვ ი — (უასლოვდება ეჭიმს). რაო, ძმობილო? რა მოგ-  
იდა?

ე ჭ ი მ ი — არაფერი... აი, ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა ახლ-  
ულის დალევა-მეოქი...

მონახოვი — დალი! სევდა გადაგიცლის...

სამაზრო პოლიციის უფროსი — მაშ, ხეალ ნავებით სეირნობას ვაწყობთ, არა? საღამოს 5 საათზე სახანძრო ცხენებს გამოგიგზავნით... მუსიკა ხომ არ გნებავთ?

ბოგა ე ვ ს კ ა ი ი — ეს კი თავიდან აგვაცილეთ, გეთაყვა... აბა, რა სიამოვნებას მივიღებთ; თუკი ყურებს გამოგვიყრუებენ მეხანძრები. ისინი ქალაქშიც საჭირო იქნებიან.

სამაზრო პოლიციის უფროსი — ღმერთმა დამიტაროს! ჭირივით მეჯავრება ხანძრები და საერთოდ სიცხე! (ხარხაჩება). ნახვამდის, ბატონებო! ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემს ქალაქში ასეთი პატივცემული ხალხი ცხოვრობს... და რა ვიცი კიდევ რა... არ ძეხერხება ხოლმე სიტყვების წარმოთქმა...

ნადევდა — თქვენ ცხენებითა ხართ?

სამაზრო პოლიციის უფროსი — რასაკვირველია. შემიძლია შინ წაგიყვანოთ. გთხოვთ!

ციგანვი — ნადევდა პოლიკარპოვნა, საით მიგეჩარებათ, დარჩით კიდევ...

ნადევდა — არა, უკვე დროა... ნახვამდის... მავრიკი, შინ შევდიგარ... ნახვამდის, ანა ფედოროვნა!

მონახოვი — შინ მიღინარ? კეთილი, ჩემო ნადია...

ანა — მე ყოველთვის მოხარული ვიქნები ჩვენსას გნახოთ ხოლმე....

ციგანვი — მეც აგრეოვე...

სამაზრო პოლიციის უფროსი — განა არა! ნადევდა პოლიკარპოვნას ნახვა ცველასათვის სასურეელია... მიბოძეთ თქვენი ხელი, მადამ! ანა ფედოროვნა, კარგად გნახეთ. სერგეი ნიკოლაევიჩ, მაშ ველი... ზოგიერთ რამეს! ღამე მშეიდობისა, პატივცემულო ტატიანა ნიკოლაევნა!..

ბოგა ე ვ ს კ ა ი ი — აღრე მისურვებთ მშეიდობის ლამეს, გეთაყვა. ძალზე ხელგაშლილი ყოფილხართ!

სამაზრო პოლიციის უფროსი — თქვენთვის არაფერს დავიშურებ... სხვათაშორის, მე დავალებული ვარ ქალაქის თავისაგან, თუმცა, მართალია, ცოტა ტუტუცი კია. მას რომ არ ეჩივლა თქვენზე, ვერ გაგიცნობდით! გნახეთ კარგად! (მონახვასთან ერთად გადის).

ანა — (უახლოვდება ექიმს). ექიმო, ხომ არ გნებავთ ბალში გავლა. ექიმი — წაგიდეთ...

ანა — ნეტერი გეთქვათ, სიამოვნებითო...

ექიმი — მე უკვე გადამავიწყდა აღმაინური ენით ლაპარაკი...

(მიღიან საუბრით, ლაპარაკით. ჩერკეზი და ლიღია სერიოზულად, ჩუმად ლაპარაკი მობენ და უახლოვდებიან მაგდის. ციგანოვი, რომელმაც ვააყოლა თვალი მონახვეს, ისხამს რაღაც სასმელს ლეინის დიდ ჭიქაში და სვამს. მონახოვი დგას მაგიდასთან და მოწონების ნიშანად ერას აწლაუნებს).

ჩერკეზი — სერგეი, შენ მაგ სასმელში თავს ამოიხრჩობ!

ციგანვი — კარგი იქნებოდა, რომ სამაზრო პოლიციის უფროსისაგან თავაზიანობა გესწავლა, ჩემო კარგო...

ჩერკეზი — (ლიღიას). ბოდიშს ვიხდი... სერგეი, ერთი წუთით ქეთ მოდი. იცი, ის ტუტუცი დედაკაცი, ხააქციზოს უფროსის ცოლი ისეთი ხარბი თვალებით მიყურებს, რომ...

ციგანვი — შენ მთლად გამოთავანებული ხარ, უორუ... ეს მე ძალიან მსიამოვნებს!

ჩერკეზი — მართლა, მართლა გეუბნები... მე უხერხულად ვგრძნობ თავს.

ციგანვი — წადი, შენ იქ გელოდებიან... (ჩერკეზი მხრებს ინჩხევს და მიდის ლიღიასკენ). მავრიკი რასიმოკიჩ! ლიქიორს მიირთმევთ?

მონახოვი — ასეთ სიამოვნებაზე სიკვდილის უამსაც კი არ ვიტყოდი უარს...

ციგანვი — სწორია. ის სიგარაცი... ბანქოს ხომ თამაშობთ?

მონახოვი — მაშ, რისთვის მოუცია ბუნებას ჩემთვის ხელები?

ციგანვი — თურმე ენამახვილიც ბრძანებულხართ... ასეთი მშენებელი ქალის პატრინი... (მონახოვი იცინის). სასიამოვნო მოსაუბრება...

მონახოვი — (უფება). გინდათ სანაძლეო დავდოთ?

ციგანვი — რა სანაძლეო?

მონახოვი — ას მანეთში ხუთ თუმანს ჩამოვდივარ, რომ ჩემი ცოლი შეგიყვარდებათ. თანახმა ხართ?

ციგანვი — (უურადღებით უჟურებს მას, თავნედურად მედიდურად შემომეტყველებით). მერე და თქვენ არათერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო?

მონახოვი — (პატრი თითოთ მოხაზეს ნოლს). ნოლი!, კურთხეულ იყავით!

ციგანვი — (ხმას აუწევს). და თუ — წარმოიდგენთ ასეთ ქაზეს, რომ მას შეეუყვარდი?

მონახოვი — ეგ რომ არ მოხდება, ას მანეთში ხუთასს ვიხდი.

ციგანვი — (იცინის). რა საუცხოვო ადამიანი ხართ... მაგრამ პირჯერობით ამას თავი დავანებოთ, კარგი სჯობია ისევ ბანქო

յօւթամաշուտ... ճանաչեց ըշինք. Արևորույզոն ոյ հցան Տ՛ղաւենդրան ըլ-  
ուած անցարութեան ամենիցնեան... ու ուսուց մշուկանցույուտ, հցան մուռպա-  
ւած մերկու մռամբնեան, գանձ արա? (Թշրու սաելնո. ոյ առ Վունինունց լու-  
հցան հաջու սցցան մելունուան).

ମୁଖ୍ୟମାନୀ ହାତରେ — ହାତରେ ପାଦରେ!

၃၀၈၁၅၂၀ — ხალხი თანდათან წერილშანდება, გაიძვერება  
კი მსხვილმანდებიან... (მონახოვი ხარხარებს. ხევს იქადან გამოჩენდებიან  
ჟერუნი და ლიდია. ხელა ახლოვდებიან, გაჩერდესიან მაგიდასთან და ლაპარა-  
ობენ).

ჩ ე რ კ უ ნ ი — დილხასი აპირებთ აქ (კბოვრებას)?

ლ ი დ ი ა — ამ ვიცი. ალბათ ერთი თვე...

କେବୁ ନୀ— ମେ କି ତାତ୍ପର୍ୟରେ ହାତୋତ୍ତର୍ଯ୍ୟରେ... ଗ୍ରେନ ଶେମନ୍ଦଗନ୍ଧାରୀରେ... ମାନ୍ଦ୍ରାଜି...

ლ ი დ ი ა — ამ მიყვარს პატარა ქალაქები. ასეთ ქალაქებში მუჭამ უმნიშვნელო ხალხი ცხოვრობს... როგორ მათთან ერთად ვარ, კოველოვის ვეკითხები ჩემს თავს, რატომ ჰქვებათ ამათ აღამიანები ჟოფი.

ჩ ე რ კ უ ნ ი —დიახ, დიახ! მათიან ენერგია გეკარგება. დიდ ქა-  
ლაქებში კი ის დღე და ღამ ჩქეფს. იქ მტრულად განწყობილ ძალის  
დაუღალავი ბრძოლაა, შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის. ელ-  
ერებს შეჭი... უკრავს მუსიკა... იქ არის ყოველივე ის, რაც ცხოვ-  
ნებას ასე ამშვენებს.

ლ ი ღ ი ა — ღილი ქალაქი, ეს სიმტკნია, ჯალოქჩის ზღაპრული სამეფოა, სადაც ყველაფერია, რაც სულსა და გულს უნდა. მაგრა გაქცეს წყურევილი სიცოცხლისა.

ჩ ე რ კ უ ნ ი — დიახ, შეუტრეილი სიცოცხლისა! მინდა ვაცოცხლო დიდხანს და ხარბად... მე მინახავს, განმიცდია ყოველგვარი სასახავალე და სიბერია. იყო დრო, მამპირებლენენ მხოლოდ იმიტომ, რომ მშოოლა, თქვენ კი, ალბათ, არც იცით, რარიგ სმცირებენ ადამიანს იმისათვის, რომ მას ჰუჭუიანი საცულები აცვია ანდა ფრჩხილები დასაჭრელი იქნება?

၁၁၈၁—မောက်များ၊ လာ မီးမိုး၊ ပြန်လည်ပေါ်လာတဲ့

କେବୁ ନି — ଦୋଷ! ଦା ଶିଖରୀଙ୍କ ଅମିତମ ହିମ ଫାରସୁଲିଙ୍ଗିତାଙ୍କୁ  
କେ ଅଧିକାରୀଙ୍କ ଦିଲ୍ଲୀ ଅନ୍ଧାରିଥି ମାଜ୍ଜ୍ଵଳ ଗାସାଶିଖରୀଙ୍କେଲି, ମାଲିନ ଦା-  
ଶି! ହିମଟାଙ୍କୁ ଏହି ଅନ୍ଧାରିକାଙ୍କ ସିନାନ୍ତାଲି, ଏହି ଅନ୍ଧାରିକାଙ୍କ ଦାତମନଙ୍କ ନି-  
ବାରି ଦା ଗନ୍ଧେଶ୍ବାରିଲୁଙ୍କ ତିର୍ଯ୍ୟକ ଅଧିକାରୀଙ୍କର ମିମାରି, ରହମଲ୍ଲେଖିପୁ  
ଶିରାଙ୍କେଶ୍ବରମନ୍ଦିର ଏହି ପ୍ରେସରୀଙ୍କ ଦା ପ୍ରେସରୀଙ୍କ ମିକ୍ରିଲେବ୍ସ ମାତି ଉପ୍ରେସ-  
ରିଂକା, ରହମା ମାତି ପିମରିହିଲେବ୍ସିବାନ...

ლ ი დ ი ა — ახლაც უკმაყოფილო ხართ კეოვერებით?

ନେତ୍ରକୁ ବୋ — ଏକଲାଙ୍ଘି... ପରିପରି... ଏକଲାଙ୍ଘି...

ლ ი დ ი ა — (ხელით ანიშნებს). თქვენ ეს კი არ გინდათ, თქვენ გინდათ ბრძოლის ფართო ველი. მე მკონია, რომ თქვენ გაქვთ უნარი შექმნათ დიდი რამ... ძალიან დიდი... თქვენ ისეთი... პირდაპირი ხართ... მაგრამ შეგიძლიათ კი თქვენი თავის დაფასება? თავისი თავის კადამეტებით შეფასება არ არის შეცდომა, შეიძლება, აიწიო, ახტე, მაგრამ შენი ფასი ძირს რომ დასწიო, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ დალუნო თავი და უკელა ზედ გადაგახტეს.

ჩერქუნი — ჩემთვის ეგ გასაგებია...

ლი დია — მე მგონია, არ არის საჭირო აღაშიანს პქონდეს ბევ-  
რი ჩამ, მაგრამ ის, ჩაც მას აბალია, ჩინებული უნდა იყოს! კაცი არ  
უნდა იყოს ხარბი... არ არის საჭირო დაიტვირთო სული წვრილმანით  
და იაფით... ცხოვრება მაშინ გახდება ლამაზი, როდესაც ხალხს ექ-  
ნება მისწრაფება საგანგებო სურვილებისაჲნ.

ჩ ერკუ ნ ი — რა რომანტიკული ქალი ხართ...

ლ օ დ օ օ — და განა ეგ ცუდია, თუ კი ეს ასეა? ის ვინ არის? (მოდის დუნკას ქარი; პირველ მოქმედებასთან შედარებით მას ტანსაცმელი უყრის შემოფლეოთილი აქეს. მთვრიალია და თამაზარ აბიჯებს).

წერე კუნი — რა გნებავთ?

დუნკას ქმილი — (გრძნობით). ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, მესმი ვარ!

የንግድ ቤት — የበኩስ ምርመራ?

დუნეას ქმარი — აი იმისი... მოსამსახურე რომ გყავთ...  
ტეპანიძა... ის. გამომეტა... მე... მე მოვითხოვ... იმიტომ, რომ მე  
სმა ვარ! რას იზამთ, ნება მაქსს მოვითხოვ...

ବୀରପତ୍ନୀ — (ଲୋଳିବୀ). ଏ ତିତକ୍ଷମିଲୁ ଶ୍ଵାସଦୀର୍ଘ ଧୂଳ ମାହିରିମିଳି...

၂၀၂၁ — ဒုက္ခလောက ပို့စွဲမာန... စာမျက်နှာရေး...

ବୀରକୁଳ ନା—ତେବେଳ ରା ଗିନିଲାତ?

დუნკას ქმარი — ჯამაგირი... შვილი ეისია? ჩემია! მაშე  
ამაგირიც მე მერჩება, სწორედ ამიტომაც მოვითხოვ... ოორებ არ,  
ვეიყვან... ჩემს ქალიშვილს... პავლინი ამბობს, არავის ნება არა აქვს  
სხეისი შვილი შეიფაროს, თუკი ის გაქცეულია... მამას კი შეუ-  
ლია ჯამაგირი მოითხოვოს... პავლინი ამბობს....

ჩ ერკუ ნი — თქვენ არა ხართ მამა. შეილის გიჩენა კიდევ არ  
ცემნავს იმას, რომ თქვენ მამა ხართ... მამა აღამიანია, და თქვენ ვა-  
ხა აღამიანი ხართ?

କୁଳକଣ୍ଠ ପାଇଁ କୁଳକଣ୍ଠ...  
କୁଳକଣ୍ଠ — ତମ, କୁଳକଣ୍ଠ ଗାନ୍ଧିଶ୍ଵର... ଏହା, କୁଳକଣ୍ଠ, ଏହି ଦାସିତ ଏହା-

დ უ ნ კ ა ს ქ მ ა რ ი — (უქან-უქან მიდის). ჯამაგირი? (მოდის ან შეჩერდება, იყურება).

ჩ ე რ კ უ ნ ი — გასწით-მეტქი აქედან!

დ უ ნ კ ა ს ქ მ ა რ ი — (შეუშინდება. ცოტათი გამოფხიზლდა). კარგი, არაფერია... წავალ... ოღონდ ათი შაური მაინც მომეცით...

ლ ი დ ი ა — (ფულს გადაუგდებს). წადით...

ჩ ე რ კ უ ნ ი — ჩქარა, აბა! (დუნას ქმარი გადის ისე, რომ არც კა მოიხედვს, ბუქებიდან ანა იყურება).

ლ ი დ ი ა — (ლიმილით). რა ადვილად გასცვალა თავისი ქალიშვილი ერთი პატარა ვერცხლის ნატეხზე! ჩვენ კი, უნდათ გვაიძულონ, რომ შევიზრალოთ და გვიყვარდეს კიდეც ასეთი ადამიანები... ეს როგორ მოგწონთ? განა მათ სიბრალული იხსნის? ანდა, განა შესაძლებელია მაგათი სიყვარული?.. ჰა... ანა ფედოროვნა! სტუმრებმა დაგლალათ?

ა ნ ა — (ციფად). არა, არაფერია. ისინი ბანქოს თამაშობენ და სანახვად გამოვედი...

ჩ ე რ კ უ ნ ი — (იჭვით). რის სანახვად?

ა ნ ა — მე დავინახე, როგორ შემოვიდა ბალში ეს საბრალო კაცი...

ლ ი დ ი ა — და, მე შინ მივდივარ... არ გეთხოვებით, რადგან საღამოთი ისევ შევხვდებით...

ჩ ე რ კ უ ნ ი — დიას... შეგხვდებით... (ლიდია მიდის. ჩერქეზი თვალს იყოლებს. ანა თვალს იდენტებს ქმარს და თან ტუჩებს იკვნებს. მას მიუარდება სტეპანიდა).

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — ის ჩემ წასაყვანად მოვიდა?.. ჩემ წასაყვანად?

ა ნ ა — არა, სტეპანიდა... ეს ისე... ნუ გეშინია, დამშვიდდი!

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — ღვთის გულისათვის... ნუ დაანებებთ ჩემ თავს...

ა ნ ა — არა-მეტქი! დამშვიდდი... შინ შედი...

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — მონასტერში წავალ! მაგის იქ არ მოუშებენ... ხომ არ მოუშებენ?

ჩ ე რ კ უ ნ ი — წადით, სტეპანიდა! ყველაფერს მოვაგვარებთ... ნუ გეშინიათ, თქვენთან ვერას გახდება.

ა ნ ა — შენს თავს არ დავანებებთ...

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — (მიდის). ოპ, ღმერთო...

ა ნ ა — მე მგონია, ეგორ, ეს კაცი როგორმე უნდა...

ჩ ე რ კ უ ნ ი — (მკაცრად). როგორმე, არაფრის გაკეთება არ ვარგა.

ა ნ ა — (ალერსიანად). შენ გალიზიანებული ხარ...

ჩ ე რ კ უ ნ ი — არა. მაგრამ მინდა გითხრა, რომ ძალზე ხაზს უსვამ შენს არამეგობრულ დამოკიდებულებას ლიდია პავლოვნასთან...

ა ნ ა — მოიცა, ეს საიდან მოჩმახე?

ჩ ე რ კ უ ნ ი — სიცრუე ყველგან მეტია და მით უმეტეს ჩვენს შორის, ანა!.. მე ლიდია პავლოვნა მომწონს, მასთან ყოფნა საინტერესოა, შენ ამას ამჩნევ და გეშინია...

ა ნ ა — (შეწერებული). რისი გეშინია? მე... არ მეშინია, არა!

ჩ ე რ კ უ ნ ი — მე ხომ ვხედავ, ანა...

ა ნ ა — რას? რას ხედავ, თქვი! მითხარი ჩქარა... არა, ნუ იტყვი... გთხოვ, არ არის საჭირო!

ჩ ე რ კ უ ნ ი — (მოღუშული). ჩუმაღ, ანა...

ა ნ ა — გახუმდი გთხოვ... მომეცი საშუალება შევეგუო აზრს, რომ...

ჩ ე რ კ უ ნ ი — შენ ეს აზრი კარგა ხანია, რაც თანა გდევს და ქამდე კი ვერ შესჩევევიხარ...

ა ნ ა — თუკი არ შემიძლია! ხომ იცი, რომ მიყვარხარ! მიყვარხარ! ყველაფერს გამატიებ...

ჩ ე რ კ უ ნ ი — პატიება მე არ მშირდება...

ა ნ ა — მე მოსაწყენი, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... მე ვიცი ეს, ვიცი! მაგრამ მიყვარხარ... და უშენობა არ შემიძლია... არ შემიძლია... განა ამისათვის შეიძლება ადამიანის შეძულება?.. განა შეიძლება... ასე სასტიკად...

ჩ ე რ კ უ ნ ი — მე არ მშელხარ... ეს ტყუილია... მაგრამ უკვე აღარ მიყვარხარ. აი სიმართლე...

ა ნ ა — უწინ ხომ გიყვარდი? არა... მოიცა! შენ სცდები...

ჩ ე რ კ უ ნ ი — გული რა ხანია გამიციდეა. სიყვარულის გარეშე კი ცოლთან ცხოვრება მხოლოდ გარყენილებს... ან მატყუარებს შეუძლიათ...

ა ნ ა — ოო, მოიცა, მოიცა... ცოტა დამაცადე... მე ვეცდები, იქნებ შევძლო და... გამოვიცალო! იქნებ შევძლო და საინტერესო ადამიანად ვიქცე...

ჩ ე რ კ უ ნ ი — ეშ! ანა! არა გრცხენიათ! როგორ შეიძლება თავისი თავის ასე უარყოფა?

ა ნ ა — ჩემო ძვირფასო! ჩემო საყვარელო... არ შემიძლია უშენდე სიცოცხლე...

ჩ ე რ კ უ ნ ი — (მტკაც). მე კი შენთან არ შემიძლია... (მიდის სახლისკენ. ანა მშუბარედ ნელა ჯდება მაგრადათან. ისმის ხმაური. თითქოს ვიღაც ლობეზე გადმოდის, მაგრამ ანას არ ესმის. ხევას იქიდან შემორჩის კატია).

კატია — (ეხვევა ანას). წერო კეთილო, მშვენიერო! ნუ ტირით, ნუ... ის არამზადაა...

ანა — (უმაღ ფეხზე წაშოდგება). მომცილდით! ვინა ხართ?

კატია — ის ტუტუფას! ასე როგორ შეიძლება ლაპარაკი?! განა შეიძლება თქვენ ვისმეს არ უყვარდეთ?

ანა — ვინა ხართ? თქვენ როგორ...

კატია — მე კატია ვარ, რედოზუბოვა! გაანებეთ თავი იმას... თქვენ ახალგაზრდა ხართ. კიდევ შეგიყვარდებათ ვინმე. ვინმე კარგი, კეთილი კაცი... მას კი... სიამოვნებით სიღებით ლოყებს ავუწიოლებდი...

ანა — ო, ღმერთო ჩემო, რატომ გვიგდებდით ყურს?

კატია — მე ყველაფერი ვიცი, რაცა გჭირთ... მთელი დღეები ჭუჭრუტანიდან გითვალთვალებთ... და იცით... ისე მიყვარხართ, ისე მიყვარხართ!

ანა — (ოღნავ გონს მოღის). იცით, ფარულად ყურის გდება... არ არის კარგი...

კატია — რატომ არ არის კარგი? ყველაფრის ცოდნაა საჭირო! ეს საინტერესოა აი, მე რომ არ მოვსულიყავი, მარტოდმარტო იქნებოდით და ტირილს დაიწყებდით... ეხლა კი, მე დაგამშვიდებთ... (შემოდის სტეპანი).

ანა — იყუჩეთ... ჩუმადი არაფერი თქვენ არ იცით, არაფერი არ ვაგიგიათ. გემუდარებით

კატია — (თავმომწონედ). მესმის! უჰ, ეს... ის არის!

სტეპანი — (იხილის ჭრას და თავს უქავს). სწორედ ის... ღობეზე ინებეთ ვადმობრძანება?

კატია — რა თქვენი საქმეა თქვენ გგონიათ, რაკი ღობეზე გადმოვედი, სულელი ვარ? თქვენზე სულელი ნუ გგონივართ... გაეთავით აქედან!

სტეპანი — რა გაწყენინეთ?

კატია — (ფეხს დააბრიაუნებს). გაჩუმდით! თქვენ არავინ არ გვლაპარაქებათ... წავიდეთ (ანას ხელს მალევში გაუყრის).

ანა — კი, მაგრამ... მომიტევეთ... მე არ გუალია...

კატია — მესმის... მე თქვენთან ვიქნები... წავიდეთ (მიჰყავს ან ბაღის სიღრმეში) სტეპანი დაბნეულია. მოღიან რელოზუბოვი და პალინი. რეზოზუბოვი თმაგაწეწილი და აღელვებულია.

რედოზუბოვი — აი, პავლინ, შენ მოწმე იყავი... წერან ხომ ჩემი ვაჟიშვილი შემოიტყუეს და დაათვრეს... ეხლა კიდევ ქალიშვილი... (სტეპანი). შენ ვინა ხარ? სამსახურის კაცი ხარ? ბატონებს დაუძხე... უყურე, პავლინ...

სტეპანი — თქვენ სცდებით, პატივცემულო...

რედოზუბოვი — ეს ჩემთვის სულერთია! აქ ყაჩალების პუნაგია! დიახ! უ, თქვენ ფარმაზონებო, დაუძახეთ იმათ!

სტეპანი — არ მინდა...

რედოზუბოვი — რაოდ მე შენ გეუბნები, შენ კი... (მოღის ჩრდილი).

პავლინი — ეგ სტუდენტია...

რედოზუბოვი — ჰო, მაში ეგეც იმავე ყაჩალების ბრძოლან ქენება...

ჩერკუნი — (დაშვიდებული). რა მოხდა? რაშია საქმე?

რედოზუბოვი — სად არის ჩემი ქალიშვილი?

ჩერკუნი — არ ვიცი...

რედოზუბოვი — სტყუი! შე ფარმაზონო!

ჩერკუნი — (სტეპანი). რას ნიშნავს ფარმაზონი?

სტეპანი — პირველად მესმის...

რედოზუბოვი — ნუ მეხუმრები, ბატონო! სად არის ჩემი ქალიშვილი?

პავლინი — მეცნიერულ ენაზე ფრანკ-მასონს უწოდებენ.

ჩერკუნი — ყური დამიგდეთ, მოხუცო... თქვენი ქალიშვილი შეებს მესროდა. მის მეტი მის შესახებ არაფერი ვიცი... ხომ ვაჟურებათ? (მორბის კატია).

რედოზუბოვი — მაში ეს ვინ არის? კატერინა... ვინ გითხი, რომე...

კატია — ნუ ხმაურობ... აქეთ წამოდი! მოდი, მოდი... ნუ გეშინა, ის არ გამოგვება...

რედოზუბოვი — შეილო! აქ საშენო აღგილი არ არის...

კატია — (ჩერკუნი). თქვენ ნუ მოგვდევთ გესმით!.. ეი, მახინები! (მიღის და თან მამა მიჰყავს. სტეპანი იცინის. ჩერკუნი ღიმილით უყურებს. სტეპანი მოზრუწული ტუჩებით თვალყრის ადევნებს).

ჩერკუნი — უასრობაა... მაგრამ მეტად საამოა, ღმერთიანი! რა მშვენიერი გოგონაა... მოვიდა, განკარგულებები გასცა... ჰმ..

სტეპანი — (იცინის). ეჰ, ეშმაკმაც წაიღოს! მართლა მოხერხებულია, ბატონო, არა?

ჩერკუნი — მოხუცს უნდა მოველაპარაკო... (ღობეზე გრიშას ასე გამოჩენდება. მას შეშინებული სახე აქს).

პავლინი — ნება მომეტით მოგახსენოთ, რომ თქვენ ის ძირისევიანად შეარყიეთ და დააბნიეთ...

ჩერკუნი — (სტეპანი). ეს ვიღაა?

ს ტე პანი — (ჩაიცინებს). ადგილობრივი ბრძენი... და, გარდა  
ამისა, ყველაფერია, რაც დასჭირდება.

გრიშა — ეი, ბატონი!

ჩერკუნი — რაო?

გრიშა — მას არ ვუცემივარ... ღმერთმანი!

კატია — (გარბის). ყური დამიგდეთ... თქვენ! მოდით აქ.... მამა-  
ჩემი გეძახით... რაო, რას ილრიკებით? მე თქვენს შესახებ ყველაფე-  
რი ვიცი... უ, წითელო ტურაე! (ცნას გამოყოფს და გარბის. სტეპანს ხარხა-  
რი აუტადება. პავლინა არ იცის როგორ მოიქცეს. ჩერკუნი იღმება და კატიას  
ძაბილზე გადის. გრიშა, შეშინებული, თვალყურს ადევნებს).

ფრთი

## მესამი მოშვედრება

იგივე ბალი, სალამია. მზე ჩადის. ხეებზე სხვადასხვა ფერის ფარნები ჰკი-  
დია. მაგიდზე დგას ღვინო და სხვადასხვა საჭმელები. მაგიდის გარშემო უწეს-  
რიგოდ დგას სხვადასხვანაირი სკამები. ს ტე პანიდა მაგიდასთან ფუსტუ-  
სები; მატერი გოგინი, ძალიან სუფთად ჩატული, ხეების ქვეშ სნის  
ლუდის ბოთლები. ბალის სილამეში, ღობესთან, დგას პრიტიკინი. მის  
გვერდით მონახოვი კლარნეტზე ჩუმად უკრავს. სახლში ხმიურია, ვა-  
ღაც ცდილობს ერთი თოთით პიანიზე დაუქრას „ჩიკე-პიეიკ“, მაგრამ სულ  
ყრთავად ეშლება. სამაზრო პოლიციის უფროსის ხარხარი ისმის.

მატერი — უკვე სამასამდე დავაგროვე...

ს ტე პანიდა — მერე, მე რაში მეკითხება?

მატერი — მაში, სულელი არ ვყოფილვარ...

ს ტე პანიდა — მე არ მითქვამს, რომ თქვენ სულელი ხართ.  
მაგრამ ხარბი კი ხართ... სულ ერთავად ფულზე ლაპარაკობთ... რო-  
გორც საერთოდ, ცველა გლეხეაცი...

მატერი — გლეხეაცი? (ჩერკუნი მიდის მაგიდისკენ, მას მოსდევს  
ნადევდა).

ჩერკუნი — სტეპანიდა, სელტერის წყალი მომაწოდეთ! (ნა-  
ღეოდას). თქვენც მოისურვეთ გაგრილება? იქ პაერი დახუთულია,  
არა?

ნადეუდა — არა... რა უშავს...

ჩერკუნი — რატომ მიყურებთ ასე... უცნაურად?

ნადეუდა — (ჩუმად). რა არის აქ უცნაური?

ჩერკუნი — (ჩაიცინებს). ცივი წყალი ხომ არ გნებავთ... სელ-  
ტერის წყალი, პა?..

ნადეუდა — არა, არ მინდა...

ჩერკუნი — (უძაო ბრუნდება). აბა, მე წავალ... თამაშს დავამ-  
თერებ. (ნადევდა ნელა მიძევება მას).

მატერი — (ჯიურად). გლეხი რომ ვარ, ეს არაფერს ნიშნავს!  
სტეპან დანილიჩი — სტუდენტი, მან ყველაფერი იცის... ის ამბობს,

უწინ კველა გლეხი იყო, შემდეგ კი, ვისაც ჰქონდა, ბატონი გახდაო... აი, როგორ ყოფილია!

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — თავი დამანებეთ... არ მიყვარს ამისთანები...

მ ა ტ ვ ე ი — როცა დაქორწინდებით, შემიყვარებთ... მე ჯანიანი ბიჭი ვარ...

ს ტ ე პ ა ნ ი დ ა — (თითქოს თავისთვის). უმაღლ მონასტერში წავალ მოდიან სამაზრო პოლიციის უფროსი და ცივინვა. ორივენი გადაქრულში არიან.

მ ა ტ ვ ე ი — (ცეინის). აბა, აქ კი ტუუით... პმ, მონასტერშიო!

ს ა მ ა ზ რ თ პოლიციის უფროსი — (მაგიდათან). აქ, ირგვლივ კველაფერი მშენიერია, მაგრამ საჭმელ-სასმელი შორსაა. ციგანოვი — (ლვინს ასახს). ის ეპიკური ქალია...

ს ა მ ა ზ რ თ პოლიციის უფროსი — თქვენ ისევ ინ ქალზე ლაპარაკობთ. მართლაც... ნადირია! აი, ორი წელია, რაც იმ ქალს ვეარშიყები... როგორც ხედავთ, მახნჯი არა ვარ, თანაც სამხედრო წოდება მაქვს და სხვა... თქვენ ამბობთ, რომ გმირი არა ვარ... ვითომ, რატომ არა ვარ გმირი? არ ვიცი. და ბოლოს, რა არის გმირობა? სად სამაზრო ქალაქი და სად გმირობა! სასაცილოა... (მონასტერი და პრიტიკი მივიდას უახლოვდებათ).

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — (ყვირის). იაკობ ალექსეევიჩ, ჩამოარიგეთ თქვენი ჯერია!..

ს ა მ ა ზ რ თ პოლიციის უფროსი — მოდის, ხელში პულის ნაჭერი უჭირავს). აი, მოვიჩერი...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — (მონახოვს). აი, ჩვენ კი სულ თქვენ მეუღლეზე ულაპარაკობთ...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — სასიამოვნოა ამის მოსმენა... სახელდობრ, რას ლაპარაკობთ, თუ ეს საიდუმლოება არ არის?

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — გვინდა გავიგოთ, რა ქალია? და ვერ გაგვიგა...

ც ი ტ ი კ ი ნ ი — ქალის გაგება ძილიან ძნელია...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — მარია ივანოვნაზე ამბობ?

ც რ ი ტ ი კ ი ნ ი — (ჩამოსწევს სახელოზე). არა, საერთოდ... იშვიათად, თუ ვინმე გაიგებს ქალს...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — მე რაც მჭირდებოდა, გეთაყვა, უკვე გავიგა... და რაც არ მჭირდება, იმის გაგება არ არის საჭირო...

ც რ ი ტ ი კ ი ნ ი — რა თქმა უნდა, ასე სჯობია, მაგრამ მაინც კველაფერს ვერასოდეს ვერ გაიგებ...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — მეგობარო, სად იპოვეთ ასეთი ქალი, პა?

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — ეპარქიულ სასწავლებელში, წირვის დრო ვნახე...

ც რ ი ტ ი კ ი ნ ი — აგრე, ისიც მოდის... მის გვერდით ექიმი... (იცინის. მონახოვიც ჩუმად მას ძჟყვება. ციგანვა უყურებს მათ და ულვაშები ზიზით აუთამაშდება).

ც ო ნ ა ხ თ ვ ი — (ციგანვას). ჩემი ცოლი თქვენს მოპასანს იწუნებს! ამბობს ძალიან მოსაწყენად და მოკლედ სწერსო. სამაგიეროდ, მე ძალიან მომწონს! ზოგიერთი ისეთი რამე აქვს, რომ... უფ, გვიაცვა

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — ნადევდა პოლიკარპოვნა, შამპანურს ხომ არ ინგებებთ კიდევ?

ნ ა დ ე ც დ ა — სიამოვნებით... ძალიან მომეწონა...

ც ო ნ ა ხ თ ვ ი — ფრთხილად, ნადევდა, დათვრები...

ნ ა დ ე ც დ ა — რა უხეშად ლაპარაკობს ხალხს შეიძლება ეგონის, რომ ოდესმე დაემთვრილება. ამ ჯოხით რად დადიხარ?

ც ო ნ ა ხ თ ვ ი — მაღლ თამაშს დავიწყებ.

ც რ ი ტ ი კ ი ნ ი — (ხელს გაუეცებს მონახოვს), წავიდეთ, ვნახოთ, სამაზრო პოლიციის უფროსი ბანქოს როგორ თამაშობს. (მიდიან, მოხილვი უხალისოდ მიძყვება).

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — (ნადევდას აწვდის ლვინის ჰიქას). კლარნეტი არ მოგწონოთ?

ნ ა დ ე ც დ ა — მე გიტარა მიყვარს. გიტარაზე ღიღი გრძნობით შეიძლება დაკვრა. კლარნეტს კი ისეთი ხმა აქვს, თითქოს სურდო შესყრიაო... თქვენ ძალიან ბევრს სვამთ, ექიმო...

ე ქ ი მ ი — მე პაველ ივანოვიჩს მეძახიან...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — წარმოიდგინეთ! პირველად მესმის თქვენი სახელი... საოცარია, არა?

ე ქ ი მ ი — რა სახელი? სახელი კი არა, აქ სულაც ვერ მამჩნევნ...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — ყოველთვის მოწყენილი რადა ხართ, ჩემო მფინფასო ბაველ ივანოვიჩი?..

ე ქ ი მ ი — ყველას არ ძალუძს ცხედრებთან სიცილი...

ჩ ე რ კ უ ნ ი — (იძახის). სერგეი, ლიდია ძავლოვნა ვეძახის...

ც ი გ ა ნ ი ც ა ი ა — მომიტეევთ... მივდივარ...

ე ქ ი მ ი — (ბოლმთ უყურებს მონახოვს). თქვენ ის მოგწონთ, არა?

ნ ა დ ე ც დ ა — სასიამოვნო კაცია... სიანტერესოდ ლაპარაკობს ფუყველთვის სუფთად ცლია.

ე ქ ი მ ი — (ჩუმად, ყრულ). რამზადა. თქვენი ვარყვნა სურს... და მილწევს კიდეც ამას... არამზადა!

